ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

13 აგვისტო 2019 წელი

N 43/36

ეგზ.: N1

**საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო**
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	4
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	5
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	6
	2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი	17
	3. სხვა გარემოებები	19
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	25
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	28
	საკონტაქტო ინფორმაცია	33

ტერმინები და შემოკლებები

ავიაციის სააგენტო – სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;

აკრედიტაციის ცენტრი – სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი;

აღრიცხვის ინსტრუქცია – საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (2018 წლის 19 დეკემბრის რედაქცია);

„აწარმოე საქართველოში“ – სსიპ – „აწარმოე საქართველოში“;

ეკონომიკის სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ინოვაციების სააგენტო – სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;

მეტროლოგიის სააგენტო – სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;

ნავთობისა და გაზის სააგენტო – სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო;

„ოუფენ ნეტი“ – ა(ა)იპ – „ოუფენ ნეტი“;

საზღვაო აკადემია – სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო ა კადემია;

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო – სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;

სამინისტროს აპარატი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი;

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო – სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო;

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო – სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო;

ტურიზმის ადმინისტრაცია – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;

ქონების ეროვნული სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;

წიაღის სააგენტო – სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო;

ჰიდროგრაფიული სამსახური – სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ვაჭრობისა და ინვესტიციების, წარმოების, მომსახურებისა და ტურიზმის ხელშეწყობა; სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა; მშენებლობის პოლიტიკის, ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და ხელშეწყობა; ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის, აკრედიტაციის, კაპიტალის ბაზრისა და ქვეყნის ბრენდის განვითარება; წიაღის მდგრადი მართვა; ენერგეტიკის დარგის განვითარება და უსაფრთხოება; სამინისტროს მართვაში არსებულ საწარმოებში აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება და სხვ.[1]

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2018 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის[2] შესახებ (ათას ლარებში):

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	სხვაობის %	საკასო
სულ სამინისტრო	**232,050**	**231,165**	**-0.4%**	**226,442**
მომუშავეთა რიცხოვნობა	929	-	-	-
ხარჯები	146,465	138,600	-5%	136,327
შრომის ანაზღაურება	15,715	13,287	-15%	13,231
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,085	2,965	-27%	2,473
ფინანსური აქტივების ზრდა	81,500	89,600	10%	87,643
ვალდებულებების კლება	-	-	-	-

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების[3] გადანაწილების შესახებ (ათას ლარებში):

საბალანსო ერთეულის დასახელება	226,442	100%
ეკონომიკის სამინისტროს აპარატი	70,068	31%
სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	60,822	27%
სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	45,553	20%
სსიპ – „აწარმოე საქართველოში“	39,229	17%
სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	7,143	3%
სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	1,234	1%
სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	836	0.4%
სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	741	0.2%
სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	570	0.2%
სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი	140	0.1%
ა(ა)იპ – ინვესტორთა საბჭოს სამდივნო	106	0.1%
ა(ა)იპ – „ოუფენ ნეტი“[4]	-	0%

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილება N70 „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

[2] 2018 წლის დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის ძირითადი ცვლილებები გამოვლენილია „ხარჯების“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში, რაც ძირითადად გამოწვეულია საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარებისათვის შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ კაპიტალის გაზრდისათვის ხარჯებიდან ფინანსურ აქტივებში საბიუჯეტო ასიგნებების გადატანით.

[3] ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ის მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შემოსავლებმა შეადგინა 88.5 მლნ ლარი.

[4] „ოუფენ ნეტის“, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, ავიაციის სააგენტოს, ჰიდროგრაფიული სამსახურისა და წიაღის სააგენტოს ბიუჯეტი მთლიანად საკუთარი სახსრებიდან ფორმირდება.

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობას

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს[5] მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

[5] „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

საკითხი 1.1
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლის ნაშთი 466,187,906 ლარია, რომელიც შედგება სააგენტოს მართვაში მყოფი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში განხორციელებული ფულადი შენატანებისაგან.

ფულადი შენატანების გარდა, ქონების ეროვნული სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო საწარმოებში ქონებრივ და წილობრივ[6] შენატანებს.

საწარმოების კაპიტალში ქონებრივი და წილობრივი შენატანების და შემცირებების[7] შესახებ ინფორმაცია 2016, 2017 და 2018 წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ქონებრივი			
	შეტანა	**შემცირება**	**სულ**
2016	180,699,673	1,554,233	179,145,440
2017	52,749,044	24,268,106	28,480,938
2018	40,776,362	31,535,092	9,241,270
სულ:	**274,225,079**	**57,357,431**	**216,867,648**

წილობრივი			
	შეტანა	**შემცირება**	**სულ**
2016	16,103,075	-	16,103,075
2017	5,769,871	96,000	5,673,871
2018	16,963,485	-	16,963,485
სულ:	**38,836,431**	**96,000**	**38,740,431**

ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული არც ქონებრივი, არც წილობრივი ტიპის შენატანები და შემცირებები არ არის ასახული აღრიცხვის ინსტრუქციის[8] შესაბამისად სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში.

გარდა ამისა, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სრული ინფორმაცია ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლამდე საწარმოთა კაპიტალში განხორციელებული ქონებრივი და წილობრივი შენატანებისა და კაპიტალიდან ამოღებული ქონებისა და წილების შესახებ.

შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთი, ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული დოკუმენტაციის მიხედვით, მინიმუმ, 255,608,079 ლარით არის შემცირებული.

აქციების და სხვა კაპიტალის გარდა „გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ მუხლი შეიცავს ქონების სააგენტოს მიერ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან წარმოშობილ გრძელვადიან მოთხოვნებს

[6] ერთ საწარმოში არსებული წილის სხვა საწარმოს კაპიტალში შეტანა.
[7] კაპიტალის ამოღება.
[8] ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, კლასიფიცირდება ოპერაციებად და სხვა მოვლენებად. აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 9, პუნქტი 3.

1,631,108 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა არ არის აღიარებული დისკონტირებული ღირებულებით,[9] რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციასთან.[10] შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიანი მოთხოვნების ნაშთი და 2018 წელს გამომუშავებული შემოსავლები 363,972 ლარით[11] გაზრდილად არის წარმოდგენილი.

სამინისტროს აპარატი

შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“ წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს,[12] რომელშიც 2013 წელს მთავრობის განკარგულების[13] საფუძველზე ეკონომიკის სამინისტროს განხორციელებული აქვს კაპიტალის შენატანი 3,000,000 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე წელს ქონების ეროვნულ სააგენტოს – 5,000,000 ლარის[14] ოდენობით.

2016 წლის 22 დეკემბრის ბრძანების[15] საფუძველზე, აღნიშნული შპს-ის 100%-იანი წილი შეტანილ იქნა შპს „მთის განვითარების კომპანიის კაპიტალში“, რომელსაც, ასევე 100%-ით ფლობს ქონების ეროვნული სააგენტო. გადაცემის მომენტში შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ კაპიტალი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განისაზღვრა 77,366,020 ლარად.

შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახულიყო აქციებისა და კაპიტალის ზრდა შპს „მთის განვითარების კომპანიაში“ 77,366,020 ლარის ოდენობით[16] და კლება – 8,000,000 ლარის ოდენობით, ვინაიდან აღნიშნული 3,000,000 და 5,000,000 ლარი მონაწილეობს 77,366,020 ლარის ფორმირებაში, რაც არ განხორციელებულა.

საკითხი 1.1-ში მოცემული უზუსტობებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 480,477,111 ლარის ღირებულების გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთის სისრულესა და სიზუსტეზე.

საკითხი 1.2
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და ვალდებულებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 11,147,203 ლარის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და 11,579,737 ლარის კრედიტორული დავალიანებები. ამათგან, 4,649,947 ლარის მოთხოვნებისა და 1,945,361 ლარის ვალდებულებების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 4,649,947 ლარის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნებისა და 1,945,361 ლარის სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების არსებობაზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების 99% წარმოშობილია სხვადასხვა სამინისტროს გაერთიანების შედეგად 1997-2007 წლებში და ირიცხება შემდეგი ორგანიზაციების ბალანსზე:

[9] მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.
[10] აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 1, პუნქტი 6 (IPSAS 9—Revenue from Exchange Transactions, პუნქტი 16).
[11] თანხა დათვლილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ.
[12] 2013 წლის 29 მაისამდე მართავდა ქონების ეროვნული სააგენტო.
[13] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მაისის N423 განკარგულება.
[14] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის 19 აგვისტოს წერილი N18/5392.
[15] სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 22 დეკემბრის ბრძანება N1/1-4079.
[16] აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 10, პუნქტი „გ“.

დებიტორული დავალიანებები

დასახელება	**თანხა**
სამინისტროს აპარატი	1,223,305
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	235,002
ავიაციის სააგენტო	3,191,640
სულ:	**4,649,947**

კრედიტორული დავალიანებები

დასახელება	**თანხა**
სამინისტროს აპარატი	1,687,224
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	12,758
ავიაციის სააგენტო	54,854
ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	190,498
სულ:	**1,945,334**

2018 წელს და ასევე წინა პერიოდში აღნიშნული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების იდენტიფიცირებისათვის საკმარისი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივნისში სამინისტროს აპარატმა ჩაატარა ფულადი სახსრების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და მიღებული შედეგები წარუდგინა ხელმძღვანელობას შემდგომი რეაგირებისთვის.

სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

ნავთობისა და გაზის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 583,558 ლარის მოთხოვნები, რომელიც შედგება 2004-2007 წლებში ნავთობპროდუქტების რეგულირების საფასურის დარიცხვით წარმოშობილი დებიტორული დავალიანებისაგან.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნავთობისა და გაზის სააგენტოში ზემოაღნიშნული დებიტორული დავალიანების შესახებ პირველადი დოკუმენტებიდან, ხელმისაწვდომია მხოლოდ 314,553 ლარის დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ დებიტორების ნაწილი (512,249 ლარი) არ აღიარებს დავალიანებას. ამასთანავე, უმსხვილეს დებიტორზე, სს „საქგეოსერვისი“ (495,619 ლარი), მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრება) საქმისწარმოება.[17]

2018 წელს და ასევე წინა პერიოდში სააგენტოს მიერ ზემოთ მოცემული დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებული პროცესები არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 583,558 ლარის მოთხოვნების მიღების ალბათობა დაბალია და შესაბამისად, ის ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

[17] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, განაცხადის რეგისტრაციის NB19007672.

სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო

წიაღის სააგენტო შეიქმნა 2018 წელს და ის გახდა სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამემკვიდრე სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზირების ნაწილში.

წიაღის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 1,010,974 ლარის მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია 2011 - 2013 წლებში.

აღნიშნული მოთხოვნების უდიდეს ნაწილზე (923,824 ლარის მოთხოვნები) წიაღის სააგენტოს 2013 წელს მოგებული აქვს სასამართლო დავები, რის საფუძველზეც მიმდინარეობს აღსრულების პროცესები, თუმცა შესაბამისი თანხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული არ არის. მოთხოვნების დარჩენილ ნაწილს – 87,150 ლარის ოდენობით, გასული აქვს ხანდაზმულობის ვადა, რასაც ასევე ადასტურებს ორგანიზაციის იურიდიული სამსახური.

2018 წელს სააგენტოს მიერ 87,150 ლარის დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებული პროცესები არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1,010,974 ლარის მოთხოვნების მიღების ალბათობა დაბალია და შესაბამისად, ის ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური

2007 წლის 26 მარტს, საქართველოს ჰიდროგრაფიულ სამსახურსა და შპს „ჰაიგმასტერს“ (რეგისტრირებულია ბრიტანეთში) შორის დაიდო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება,[18] რომლის ღირებულება შეადგენდა 331,900 აშშ დოლარს.

2007 წლის 15 ნოემბერს დადგინდა,[19] რომ ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული მეტეოროლოგიურ-სინოპტიკური საშუალება დაზიანდა და ზღვაში ჩაიძირა.

აღნიშნულ ფაქტზე, სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილების[20] საფუძველზე, შპს „ჰაიგმასტერს“ დაეკისრა ჰიდროგრაფიის სამსახურის სასარგებლოდ 430,252 ლარის ოდენობის ზარალის ანაზღაურება. 2010 წლის სააღსრულებო ფურცლის[21] შესაბამისად დაიწყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი, თუმცა, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული თანხა გადაუხდელია.

2016 წლის შემდეგ[22] ორგანიზაციის მხრიდან აღნიშნულ საქმეზე რეაგირება არ მომხდარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 430,252 ლარის მოთხოვნის მიღების ალბათობა დაბალია და შესაბამისად, ის ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

აკრედიტაციის ცენტის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების ნაშთი შეადგენს 51,147 ლარს.

[18] ხელშეკრულება N10, 26/03/2007.
[19] დაზიანების აქტი N242.
[20] ფოთის საქალაქო სასამართლო - საქმე N 2/316, 18/01/2009.
[21] სააღსრულებო ფურცელი N 2/316-08, 17/09/2010.
[22] ჰიდროგრაფიული სამსახურის 2016 წლის 29 თებერვლის .წერილი N1353 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

აკრედიტაციის ცენტრის მიერ ჩვენთვის წარმოდგენილ ფინანსურ ჩანაწერებში, შეუძლებელია კრედიტორული დავალიანების გრძელვადიან და მიმდინარე ნაწილად გამიჯვნა, ასევე ფინანსური აღრიცხვის არასათანადოდ წარმოების გამო, ვერ მივიღეთ რწმუნება კრედიტორული დავალიანების საწყისი და საბოლოო ნაშთების სიზუსტესა და სისრულეზე.

აკრედიტაციის ცენტრის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების დანართ N12-ში მოყვანილი მონაცემები კრედიტორული დავალიანებების შესახებ არ ემთხვევა ბუღალტრულ ჩანაწერებს (არც თანხით და არც კრედიტორების დასახელებების მიხედვით).

შესაბამისად, ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, მოსაზრება გამოვთქვათ აღნიშნული მუხლის სისწორესა და სისრულესთან დაკავშირებით.

სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე ირიცხება, 90,340 ლარის მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით, რაც წარმოადგენს თბილისში, სააგენტოს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების უკანონო დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნას.

ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე,[23] თუმცა ამ ეტაპისთვის არ არის დადგენილი აღნიშნულ ზარალზე პასუხისმგებელი პირი. აღრიცხვის ინსტრუქციის[24] მიხედვით, სასამართლო განჩინების მიღებამდე აღნიშნული მოთხოვნები არ უნდა ირიცხებოდეს სააგენტოს ბალანსზე და უნდა მოხდეს მათი პირობით აქტივად აღიარება და საცნობარო მუხლში გადატანა.

საკითხი 1.2-ში მოცემული უზუსტობებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში სხვა მოკლევადიანი მოთხოვნებისა (11,147,203 ლარი) და კრედიტორული დავალიანებების (11,579,737 ლარი) ნაშთის სისრულესა და სიზუსტეზე.

საკითხი 1.3
ძირითადი აქტივები

ეკონომიკის სამინისტროს კონსოლიდირებულ 2018 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ნაშთი – 35,799,261 ლარის ოდენობით, საიდანაც 32,136,768 ლარის აქტივები წარმოადგენს საფრანგეთის სახელმწიფოს ხელშეწყობით[25] ზემო სვანეთში სამთო-სათხილამურო საბაგიროების მოწყობის სამუშაოებს.

აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში, 2011-2013 წლებში, უცხოეთიდან შემენილი მანქანა-დანადგარების (საბაგირო მოწყობილობების) ღირებულება შეადგენდა 31,584,783 ლარს, ხოლო მათი იმპორტის გადასახადი – 551,985 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის განკარგულების[26] მიხედვით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიღებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, ასევე საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ღონისძიებების განხორციელების მიზნით შესყიდული „სამუშაოების“ და „საქონლისა და მომსახურების“ ღირებულება აისახება კომპანია შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ კაპიტალში. შესაბამისად, „დაუმთავრებელი ძირითადი

[23] საქართველოს შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს IX განყოფილების მიმართვის წერილი N0010680177.
[24] აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 185, პუნქტი 6.
[25] მიწოდების ხელშეკრულება EPE_MESTIAa_2011.
[26] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მაისის N423 განკარგულება, პუნქტი „ე“.

აქტივის“ მუხლი 32,136,768 ლარის ოდენობით სამინისტროს უნდა გადაეცა შპს „თეთნულდი დეველოპმენტისათვის“.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2015 წელს ეკონომიკის სამინისტროსა და მესტიის მუნიციპალიტეტს[27] შორის შედგა კომუნიკაცია[28] ამ აქტივების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის თაობაზე. 2015 წლის 30 ივლისს ეკონომიკის მინისტრის მიერ გამოიცა ბრძანება[29] აღნიშნული აქტივების გადაცემის თაობაზე. ბრძანება ითვალისწინებდა მიღება-ჩაბარების გაფორმებას სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის, რაც არ განხორციელებულა.

შედეგად, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია 32,136,768 ლარით მეტი ღირებულებით.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივებს განკარგავს ქონების ეროვნული სააგენტოს შვილობილი შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“, რომელიც წარმოადგენს შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ სამართალმემკვიდრეს.

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მოქმედი კანონმდებლობის[30] საფუძველზე, ქონების ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია სახელმწიფო ქონების პრივატიზებასა და მათ იჯარით გაცემაზე, თუმცა საპრივატიზებო და საიჯარო ქონება არ აქვს ასახული ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში. სააგენტომ 2018 წელს მოახდინა 104,404,225 ლარის ღირებულების იმ ქონების პრივატიზება, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში არ ჰქონდა დაფიქსირებული როგორც აქტივი.

ასევე, სააგენტოს აქტივად არ ჰქონდა აღრიცხული ის საიჯარო ქონება, რომლის წლიურმა ჯამურმა საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 4,475,058 ლარი.

ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2018 წლის 21 სექტემბრის ბრძანების[31] საფუძველზე 747,886 ლარის ღირებულების შენობა (თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N49ა), ამოიღო შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“[32] კაპიტალიდან.

გამომდინარე იქიდან, რომ 2018 წლის დასაწყისიდან ამ შენობით სარგებლობს ქონების ეროვნული სააგენტო, ამავე წლის 9 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის[33] საფუძველზე აღნიშნული შენობა აყვანილ იქნა ქონების ეროვნული სააგენტოს ბალანსზე, 747,886 ლარის ღირებულებით.

2018 წლის 18 დეკემბრის მოხსენებითი ბარათისა[34] და 19 დეკემბრის ბრძანების[35] საფუძველზე, ქონების ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ოთახის სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით, აღნიშნული ქონება გრანტის სახით გადაეცა კვლავ შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ (გადაცემის დროს ქონება შეფასდა 929,000 ლარად).

[27] ამ პერიოდში შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“ იყო მესტიის მუნიციპალიტეტის მართვის ქვეშ.
[28] მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი N349, 20.05,2015.
[29] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/328.
[30] საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება N39 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.
[31] ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N1/1-2182.
[32] შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ და ქონების ეროვნული სააგენტოს კონტროლირებად საწარმოს.
[33] ქონების ეროვნული სააგენტოს ლოგისტიკის სამსახური N KA021701598129618.
[34] ქონების ეროვნული სააგენტოს ლოგისტიკის სამსახური KA021766569098718.
[35] ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N1/1-2742.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ქონება აღარ არის აღრიცხული ქონების ეროვნული სააგენტოს ბალანსზე, თუმცა შენობას ის უწყვეტად და უსასყიდლოდ იყენებს საქმიანობის განხორციელებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის[36] მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ძირითადი აქტივი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ქონების ეროვნული სააგენტოს აქტივს და არა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ აქტივს.

შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები 747,886 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

ქონების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებასა და ბუღალტრულ ჩანაწერებში, ასევე ასახული არ არის 2017 წლის 25 მაისს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროსგან მიღებული[37] 6,728,604 ლარის ღირებულების სხვადასხვა მანქანა-დანადგარი.[38]

სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 2,083,754 ლარის ღირებულების 513.3 კვ.მ შენობა-ნაგებობა[39] და მასზე დამაგრებული 982 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.22.02.005), რომელიც საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სარგებლობაში გადმოეცა 2011 წელს 2 წლის ვადით.[40] აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ სარგებლობის უფლება არ გაგრძელებულა და შენობა გასხვისდა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის[41] მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობა-ნაგებობა ეკუთვნის სხვა ორგანიზაციას.[42]

შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები 2,083,754 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

საზღვაო აკადემიის საკუთრებაშია ქ. ბათუმში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწა – 2,821 კვ.მ და მასზედ მდებარე შენობა-ნაგებობა საერთო ფართით – 3,267.74 კვ.მ. აღნიშნული აქტივები, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში წარდგენილია მხოლოდ შენობაზე გაწეული კაპიტალიზებული ხარჯის ღირებულებით – 333,211 ლარით.

შესაბამისად, აღნიშნული თანხა სამართლიანად ვერ ასახავს შენობა-ნაგებობისა და მიწის ღირებულებას.

სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი

აკრედიტაციის ცენტრის ბალანსზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 178,503 ლარის ძირითადი აქტივები.

აკრედიტაციის ცენტრი, ყველა ძირითად საშუალებას (გარდა, შენობისა) ცვეთას აღრიცხავს 20%-იანი განაკვეთით, რაც არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[43] განსაზღვრულ ცვეთის ნორმებთან.

[36] აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 25, პუნქტი „გ“.
[37] ინფრასტუქტურის მინისტრის ბრძანება 17/05/2017; N76/ო; მ/ჩ აქტი – 25.05.2017.
[38] საბაგირო მოწყობილობები და დანადგარები.
[39] მდებარე ქ. ბათუმში, ნინოშვილის N23-ში.
[40] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის ბრძანება N153.
[41] განცხადების რეგისტრაცია N 882019203611; 20/03/2019.
[42] შპს – EVENTUS.
[43] ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანება.

ამასთანავე, ორგანიზაციას არ გააჩნია ძირითადი საშუალებების ანალიზური აღრიცხვის ჟურნალი, სადაც მითითებული იქნებოდა ძირითადი აქტივის ისტორიული ღირებულება, შეძენა-მიღებისა და გაცემა-ჩამოწერის თარიღები.

ანალიზური აღრიცხვის არასრულყოფილად წარმოების გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო შესაბამისი ნორმების გამოყენებით ცვეთის ხარჯის ხელახალი გადათვლა და ცდომილების ეფექტის დადგენა.

შესაბამისად, ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, მოსაზრება გამოვთქვათ აღნიშნული მუხლის (ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 178,503 ლარი) სისწორესა და სიზუსტესთან დაკავშირებით.

საკითხი 1.3.1 ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

სსიპ-ში „აწარმოე საქართველოში“, ინოვაციების სააგენტოსა და საზღვაო აკადემიაში 2018 წელს არ ჩატარებულა ძირითადი აქტივების სავალდებულო ინვენტარიზაცია, ხოლო სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ ინვენტარიზაცია განახორციელა ფინანსთა მინისტრის N605 ბრძანებასთან შეუსაბამობებით, კერძოდ:

- სააგენტოს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების დიდ ნაწილს არ აქვს მინიჭებული უნიკალური საინვენტარო ნომრები;
- საინვენტარო უწყისებში კონკრეტული აქტივები შეტანილია კომპლექტებად;
- ინვენტარიზაციის აქტში ხშირად მითითებულია მხოლოდ ფაქტობრივად არსებული აქტივები, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები მითითებული არ არის, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში – პირიქით.

საკითხი 1.3.2 არამატერიალური აქტივები

სსიპ-ის – „აწარმოე საქართველოში“ და ტურიზმის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება შესაბამისად, 85,246 ლარის და 210,167 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები,[44] რომლებიც მორალურად მოძველებულია და აღარ გამოიყენება. აღნიშნული აქტივები აღრიცხვის ინსტრუქციის[45] მიხედვით ვერ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შესაბამისად, არამატერიალური აქტივების ნაშთი გაზრდილია 295,413 ლარით.

1.3 საკითხში მოცემული უზუსტობებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული 104,437,265 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების სისრულესა და სიზუსტეზე.

საკითხი 1.4 შემოსავლები

სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

ნავთობისა და გაზის სააგენტოს რეგულირების საფასურისაგან მიღებული შემოსავალი, 143,115 ლარის ოდენობით, აღიარებული აქვს 2019 წელს,

[44] არამატერიალური აქტივები წარმოადგენს საქართველოს საიმიჯო ვიდეორგოლებს.
[45] აღრიცხვის ინსტრუქცია, 3-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

ნაცვლად – 2018 წლისა. ხოლო 26,581 ლარის შემოსავალი აღიარებული აქვს 2018 წელს, ნაცვლად – 2017-ისა.

შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წელს გამომუშავებული შემოსავლები 116,534 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი

აკრედიტაციის ცენტრს 2018 წელს მიღებული საკუთარი შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს არა დარიცხვის, არამედ საკასო მეთოდით, რაც აღრიცხვის ინსტრუქციის დარღვევას წარმოადგენს.[46] შესაბამისად, ორგანიზაციის 2018 წლის შემოსავლები 247,644 ლარით გაზრდილად არის წარდგენილი.

კონსოლიდირებული შემოსავლები

2018 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წელს 747,886 ლარის ღირებულების შენობის უსასყიდლოდ მიღება. შესაბამისად, აღნიშნული თანხით შემცირებულია 2018 წელს გამომუშავებული შემოსავლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და 1.1 საკითხში ქონების ეროვნული სააგენტოს შემოსავლებთან დაკავშირებული 363,972 ლარის უზუსტობიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში „შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 252,804 ლარით.

საკითხი 1.5 ხარჯები

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ტურიზმის ადმინისტრაციამ 2017 წელს გააფორმა[47] სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებები და იმავე წელს გადაიხადა მომსახურების მთლიანი საფასური.

როგორც კომპანიებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარებებიდან[48] ირკვევა, მათ ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებები გაუწიეს 2017 წელს, ხოლო ტურიზმის ადმინისტრაციას აღნიშნული მომსახურება ნაცვლად 2017-ისა, 2018 წლის ხარჯად აქვს აღიარებული. შესაბამისად, 1,773,665 ლარით[49] გაზრდილად არის წარმოდგენილი 2018 წლის ხარჯები და დებიტორული დავალიანების 2018 წლის საწყისი ნაშთი.

2017 წლის მსგავსად, ტურიზმის ადმინისტრაციამ 2018 წელს გააფორმა სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებები.[50] გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გაკეთებული მიღება-ჩაბარებებით[51] დასტურდება, რომ კომპანიებმა ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებები გაუწიეს 2018 წელს, ხოლო ტურიზმის ადმინისტრაციას აღნიშნული მომსახურება 2018 წლის ხარჯად არ აქვს აღიარებული. შესაბამისად, 915,894 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი 2018 წლის ხარჯები, ხოლო დებიტორული დავალიანების 2018 წლის საბოლოო ნაშთი, გაზრდილია ამავე თანხით.

[46] აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 9, პუნქტი 2.
[47] კომპანიებთან: Dars Consulting (UK) Ltd და LLC Euronews.
[48] 2018 წლის იანვრის ორი მიღება-ჩაბარება: Acceptance Certificate N1155/1, 15.01.2018; Acceptance Certificate N1147/1, 08.01.2018.
[49] თანხა შედგება Euronews-სა და BBC-ზე გასული საქართველოს საიმიჯო რეკლამებისათვის გაწეული ხარჯებისგან.
[50] Dars consulting (UK) Ltd, Cable news network Inc (CNN). BBC-ისა და CNN-ზე გასული საქართველოს საიმიჯო რეკლამები.
[51] მ/ჩ N1343/1; 31.12.2018.

სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი

აკრედიტაციის ცენტრის 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია საკონსულტაციო ხარჯი[52] 2,341,358 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 1,125,901 ლარი წარმოადგენს 2017 წლის ხარჯს.[53]
შესაბამისად, 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები 1,125,901 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

აკრედიტაციის ცენტრს 2018 წელს გადახდილი დღგ (287,000 ლარი), ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს ხარჯებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში ხარჯები 2,270,672 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

საკითხი 1.6
განმარტებითი შენიშვნები

სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული ინფორმაცია სასამართლო დავის შესახებ, რომლის საფუძველზეც ორგანიზაცია ლიცენზიანტისაგან[54] ითხოვს 1,000,000 აშშ დოლარის პირგასამტეხლოს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია საქალაქო და სააპელაციო[55] სასამართლოების მიერ ნაწილობრივ, 500,000 აშშ დოლარის ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის[56] პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზემოაღნიშნული დავის შესახებ ინფორმაცია ასახული იყოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

[52] ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების დანერგვასთან, ინსპექტირების ცენტრების აღჭურვასთან, სისტემის მოწესრიგებასთან და ინსპექტირების პროცესების დანერგვასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება.
[53] 1. ინვოისი N301600000725, თარიღი: 12.2017; მ/ჩ N8, თარიღი: 25.12.2017; 2. ინვოისი N3016000005, თარიღი 12.2017; მ/ჩ N6, თარიღი: 25.12.2017; 3. ინვოისი N3016000006', მ/ჩ N7, თარიღი: 25.12.2017.
[54] შპს „აკსაი-ბი-ემ-სი" – საქართველოს ტერიტორიაზე, ნავთობისა და გაზის მოპოვების გენერალური ლიცენზიის მეხუთე სალიცენზიო ბლოკზე გამარჯვებული.
[55] სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააგენტოს ჯერ არ მიუღია.
[56] აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 25; მუხლი 185; მუხლი 17, პუნქტი „დ".

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით". ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად

2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

საკითხი 2.1
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები

ა(ა)იპ – „ოუფენ ნეტმა“ 2018 წელს საქართველოს ბანკსა და „თიბისი ბანკში“ ვადიან ანაბრებზე განათავსა, შესაბამისად, 10.0 მლნ ლარი და 11.0 მლნ ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაბრებზე დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა საქართველოს ბანკში 754,521 ლარი, ხოლო „თიბისი ბანკში“ 300,616 ლარი შეადგინა.

ზემოაღნიშნული სარგებელი ორგანიზაციას ასახული არ ჰქონდა ბუღალტრულ ჩანაწერებში, რის შედეგადაც, 2018 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „შემოსავლებისა“ და „მოთხოვნების“ მუხლები შემცირებული იყო 1,055,137 ლარით.

აუდიტის პერიოდში „ოუფენ ნეტს“ ვაცნობეთ აღნიშნული უზუსტობის შესახებ. საპასუხოდ, ორგანიზაციამ დააკორექტირა წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება. თუმცა, 2018 წელს ანაბარზე განთავსებული თანხები არ არის ასახული ფინანსური ანგარიშგების დანართ N4-ში, „ვალუტა და დეპოზიტების“ მუხლში.[57]

საკითხი 2.2
პირგასამტეხლო

ქონების ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა[58] პრივატიზებული და მართვის უფლებით გადაცემული აქტივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა და შესაბამისი ხელშეკრულებების მონიტორინგი. კერძოდ, ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე დაკისრებული გადასახდელების/ პირგასამტეხლოს აღრიცხვისა და ამოღების კონტროლი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები პირგასამტეხლო, დაახლოებით, 48,300,000 ლარს და 49,700,000 აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს 80% წარმოშობილია 2006-2014 წლებში დადებული ხელშეკრულებებიდან და არ არის ასახული სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პირგასამტეხლოების მისაღებად განხორციელებული ღონისძიებების შესწავლის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 10 (ათი) კონტრაქტორი. ორგანიზაციამ ვერ წარმოგვიდგინა მტკიცებულებები აღნიშნული კონტრაქტორებისგან თანხების მიღებისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ. ასევე ვერ მივიღეთ დასაბუთება, რატომ არ განხორციელდა შესაბამისი ქმედებები და აქვს თუ არა სააგენტოს შემუშავებული სამომავლო სტრატეგია, აღნიშნული თანხების მონიტორინგთან და მართვასთან დაკავშირებით.

შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც თანხების არსებითობის, ასევე მათი შინაარსიდან გამომდინარე. კერძოდ, პირგასამტეხლოები წარმოშობილია სახელმწიფო ქონების პრივატიზების/ მართვის უფლებით გადაცემის შედეგად მესამე პირების მიერ აღებული გარკვეული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

ვინაიდან აღნიშნული საკითხი, ერთი მხრივ, უკავშირდება ბიუჯეტში მისამართ თანხებს[59] და მეორე მხრივ, ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს, მნიშვნელოვანია ისეთი კონტროლის მექანიზმების არსებობა, რომლებიც

[57] ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ/ფინანსური აქტივების ზრდა/1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები.
[58] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება N391 – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.
[59] აღსანიშნავია, რომ მისაღები თანხები მთლიანად მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

დაბალანსებულად უზრუნველყოფენ როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორების ინტერესების გათვალისწინებას.[60]

[60] აღსანიშნავია, რომ ამ აუდიტის საგანი არ ყოფილა თითოეული ხელშეკრულების შინაარსის შესწავლა.

3. სხვა გარემოებები

საკითხი 3.1
ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ ზოგიერთ ორგანიზაციას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საცნობარო მუხლში[61] არასწორად აქვს წარდგენილი ვადაგადაცილებული დავალიანებები. კერძოდ, დავალიანების ვადაგადაცილებული ნაწილის ნაცვლად, წარდგენილია მიმდინარე ვალდებულებების თანხა – 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით.

ასევე, ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ელიმინირებული[62] სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შორის განხორციელებული 110,131 ლარის ოპერაცია.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში – 3,798,244 ლარის ოდენობით. თუმცა, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახული არ არის დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორისი სხვაობა.[63]

საკითხი 3.2
ბუღალტრული აღრიცხვა

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში არ გამოიყენება სპეციალიზებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს.

აკრედიტაციის ცენტრი ბუღალტერიას აწარმოებს სპეციალიზებულ ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში, თუმცა ეს აღრიცხვა არასრულყოფილი და არაზუსტია. კერძოდ, საბალანსო მუხლების ნაშთები და ბრუნვები და მოგება-ზარალის ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებულ არცერთ უწყებაში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ.
სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

მარაგების აღრიცხვის მეთოდი

აღრიცხვის ინსტრუქციის[64] მიხედვით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. კერძოდ, თუ კონტროლირებული ერთეული ანალოგიური ოპერაციებისა და სხვა მოვლენებისათვის იყენებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

[61] საცნობარო მუხლი: ვადაგადაცილებული დავალიანებები (10).

[62] ელიმინაცია – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს შიდა ჯგუფური ოპერაციების გამორიცხვა . აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 39, პუნქტი 30.

[63] აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 36, პუნქტი 27.

[64] აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 39, პუნქტები: 33, 34.

დადგენილი სააღრიცხვო პოლიტიკისაგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მაკონტროლებელმა ერთეულმა უნდა გააკეთოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი კორექტირება.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ორგანიზაციები იყენებენ მატერიალური მარაგების აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას აღრიცხვის ინსტრუქციის ზემოაღნიშნული მოთხოვნა შესრულებული არ არის.

ანალიზური აღრიცხვა

ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია ძირითადი აქტივების ანალიზურ აღრიცხვას აწარმოებს ხარვეზებით. კერძოდ: საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში, „აწარმოე საქართველოსა“ და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოში, აქტივებს არ აქვთ მინიჭებული საინვენტარო კოდები; ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ნავთობისა და გაზის სააგენტოში აქტივების ნაწილს არ აქვს მინიჭებული საინვენტარო კოდები;

გარდა ამისა, აკრედიტაციის ცენტრი არ აწარმოებს მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ანალიზური აღრიცხვის ჟურნალს. ასევე აკრედიტაციის ცენტრი ბუღალტრულად არ ასახავს მარაგების მიღებას და შესყიდვისას პირდაპირ ჩამოწერს ხარჯებში. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციას 2018 წელს არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია. მარაგების ნაშთი წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს უცვლელია და შეადგენს 10,147 ლარს.

საკითხი 3.3
ფულის ნაშთი

სამინისტროს აპარატი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატის საბალანსო ანგარიშზე „სხვა ანგარიშები ბანკში“ ერიცხება ყოფილი სამინისტროების (ეკონომიკის, ქონების, მრეწველობისა და ვაჭრობის) ბალანსებიდან გადმოსული გაურკვეველი ნაშთი – 210,370 ლარი, რომლის არსებობაზე რწმუნება ვერ იქნა მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნაშთი წარმოშობილია 2004 წელს.

2017 წლის 6 ივლისს ეკონომიკის სამინისტრომ წერილით[65] მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს ყოფილი ეკონომიკის, ქონების, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ანგარიშსწორების ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების ნაშთების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. აღნიშნული წერილის პასუხად 2017 წლის 14 ივლისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამინისტროს აცნობა[66], რომ ეროვნული ბანკის საარქივო მასალებში აღნიშნული კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიში არ იძებნება.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივნისში სამინისტროს აპარატმა ჩაატარა ფულადი სახსრების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და მიღებული შედეგები წარუდგინა ხელმძღვანელობას შემდგომი რეაგირებისთვის.

[65] N18/4009.
[66] წერილი N2-15/2648.

საკითხი 3.4
ძირითადი საშუალებები

ქონების ეროვნული სააგენტო

ქონების ეროვნული სააგენტოს ძირითად საშუალებებზე ცვეთის ხარჯის გადათვლის შედეგად ძირითადი საშუალებების საბოლოო ნაშთში გამოვლინდა 40,015 ლარის სხვაობა. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია ობიექტის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე არასწორი ნორმის მიყენებით, რამაც გამოიწვია ზედმეტი ცვეთის ხარჯის დარიცხვა.

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

საზღვაო აკადემიას 2017 წელს უსასყიდლოდ გადაეცა 1,134,700 ლარის ღირებულების აქტივები, რომელთა მიღება აკადემიის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად 2017 წლისა, ასახულია 2018 წელს. შესაბამისად, 2017 წლის განმავლობაში დაურიცხავი ცვეთის ხარჯის გათვალისწინებით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი – 75,647 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

საკითხი 3.5
ინვენტარიზაცია

ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ ზოგიერთ ორგანიზაციაში კანონმდებლობით მოთხოვნილი ინვენტარიზაციების ჩატარების მიმართულებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.

ქვემოთ მოცემულია იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი სადაც 2018 წელს არ ჩატარებულა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციები:

- ქონების ეროვნულ სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, „ოუფენ ნეტი“, ნავთობისა და გაზის სააგენტო, ავიაციის სააგენტო, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტო.

ამასთანავე, ქონების ეროვნული სააგენტოს ინვენტარიზაციის აქტის მიხედვით, ჩამოსაწერი იყო 52,081 ლარის მცირეფასიანი აქტივები და 5,182 ლარის ძირითადი საშუალებები, თუმცა ორგანიზაციას ისინი 2018 წელს არ ჩამოუწერია.

ზემოხსენებული აქტივების კატეგორიების ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის. ინვენტარიზაცია ასევე ზრდის აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობას.

საკითხი 3.6
ხარჯები

ინოვაციების სააგენტოს საგრანტო პროგრამების ფარგლებში სსიპ – აპოლონ ქუთათელიძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტზე გაცემული გრანტის ხარჯები 45,119 ლარის ოდენობით, ნაცვლად 2017 წლისა, აღიარებულია 2018 წლის ხარჯებში.

საკითხი 3.7
შენობის იჯარის ხარჯი

2014 წლის 30 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „აწარმოე საქართველოს“ სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატისაგან“ იჯარით[67] აღებული აქვს არასაცხოვრებელი შენობა, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა N5/16-18-ში.

ხელშეკრულების მიხედვით, საიჯარო ფართი განისაზღვრა 198 კვ.მ-ით, ხოლო ყოველთვიური საიჯარო ქირა – 3,564 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნულ ხელშეკრულებაში პერიოდულად შედიოდა ცვლილებები, რაც

[67] 2014 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება N31 არასაცხოვრებელი ფართობის იჯარით გადაცემის თაობაზე.

ითვალისწინებდა საიჯარო ფართის ან/და იჯარის ყოველთვიური ქირის ზრდას.

2017 წლის 7 სექტემბრიდან საიჯარო ფართი შეადგენდა 921.59 კვ.მ-ს ხოლო საიჯარო ქირა – 16,378 აშშ დოლარს.

2014-2018 წლებში სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“ ქირის სახით გადაიხადა 1,442,259 ლარი, მათ შორის, 2018 წლის საიჯარო ქირამ 495,376 ლარი შეადგინა.

ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხარჯეფექტიანობის ანალიზი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ალტერნატივის დანახარჯისა და სარგებლის შედარება და საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება, რამდენად ეკონომიურად და ეფექტიანად იხარჯება ზემოაღნიშნული თანხები.

საკითხი 3.8 გაცემული სუბსიდიები

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა

საქართველოს მთავრობის დადგენილების[68] საფუძველზე, სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 4 კომპანიასთან.[69] კონტრაქტორები უშუალოდ ახორციელებენ პროგრამის იმპლემენტაციას, გასცემენ რეკომენდაციებს ორგანიზაციის მიერ პროგრამის ბენეფიციარ(ებ)ის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით და ახდენენ ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგს.

კონტრაქტორი სსიპ-ს – „აწარმოე საქართველოში“ აწვდის ინფორმაციას შერჩეული კანდიდატების შესახებ, რის შემდეგაც სსიპ იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ. დაფინანსების შემთხვევაში ორგანიზაციასა და ბენეფიციარს შორის ფორმდება ხელშეკრულება,[70] რომლის მიხედვით, ორგანიზაცია უფლებამოსილია უკან მოითხოვოს ბენეფიციარის მიერ არამიზნობრივად დახარჯული თანხა.

მთავრობის დადგენილებით[71] და კონტრაქტორ კომპანიებსა და „აწარმოე საქართველოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების[72] მიხედვით, კონტრაქტორი ვალდებულია, „აწარმოე საქართველოს“ წარმოუდგინოს ბენეფიციარების მონიტორინგის პერიოდული და საბოლოო ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშები არ შეიცავს საკმარისად დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ, არ არის იდენტიფიცირებული უმოქმედო საწარმოები.

„აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარების მიერ კონტრაქტის პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ კონტრაქტორებისგან და პროგრამის კონტროლისათვის იყენებს თავისივე შექმნილ ვებგვერდს. აღნიშნულ ვებგვერდზე კონტრაქტორები ტვირთავენ ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, საბოლოო მონიტორინგის აქტებს, რომლითაც ფასდება ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კონტრაქტორების მიერ სისტემაში არ არის ატვირთული ზემოხსენებული აქტები. შესაბამისად, „აწარმოე

[68] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
[69] შპს „თბილისის ბიზნესტრენინგის ცენტრი“, ა(ა)იპ – რეგიონული განვითარების ასოციაცია, ა(ა)იპ – საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია – „საქართველოს სკაუტები“, შპს „ჯი ემ სი ჯი“.
[70] ხელშეკრულების მუხლი 3.4, პუნქტი 3.4.2.
[71] საქართველოს მთავრობის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ – სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 12, „თ“ პუნქტი.
[72] ხელშეკრულების მუხლი 4, პუნქტი 4.8.

საქართველოში“ ვერ ფლობს სრულ ინფორმაციას ბენეფიციარების შესახებ, რაც კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

გარდა ამისა, კონტრაქტორების მიერ წარმოდგენილ საბოლოო მონიტორინგის აქტებში ასახული ინფორმაცია ეყრდნობა მხოლოდ ბენეფიციარების გამოკითხვას, რაც არ შეიძლება იყოს მიჩნეული საკმარის და სარწმუნო წყაროდ.

ამასთანავე, ორგანიზაციაში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა კონტრაქტორების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ ვერ უზრუნველყოფს სათანადო კონტროლის გარემოს შექმნას. შესაბამისად, შესაძლოა ვერ განხორციელდეს გაცემული თანხების მიზნობრიობის სრულყოფილი კონტროლი, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება და მათზე დროული და სათანადო რეაგირება.

აღსანიშნავია, რომ ვებგვერდი, რომელზეც ატვირთულია მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად გაცემული სუბსიდიების შესახებ სრული ინფორმაცია, არ არის დაცული ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტები. შესაბამისად, მაღალი რისკის ქვეშ დგას როგორც ორგანიზაციის იმ საოპერაციო საქმიანობის ნაწილი, რაც დამოკიდებულია ვებგვერდის გამართულად ფუნქციონირებაზე, ასევე აღნიშნულ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება

სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის[73] ფარგლებში სსიპ – „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებას, არაუმეტეს 10%-ისა.

დაფინანსების შემთხვევაში ორგანიზაციასა და ბენეფიციარს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ბენეფიციარის მიერ შესასრულებელ პირობებს. აღნიშნული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაცია უფლებამოსილია, უკან მოითხოვოს ბენეფიციარის მიერ არამიზნობრივად დახარჯული თანხა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სსიპ-ის – „აწარმოე საქართველოში“ მხრიდან ხელშეკრულებების პირობების შესრულების მონიტორინგი არ განხორციელებულა.

ორგანიზაციის განმარტებით, კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს სესხის გამცემი საფინანსო ინსტიტუტების მიერ ბენეფიციარების მიმართ გატარებული მონიტორინგის ღონისძიებები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „აწარმოე საქართველოში“ არ მონაწილეობს აღნიშნულ მონიტორინგში.

ასევე, 2018 წლის ბოლოს ორგანიზაციის დაკვეთით შპს „ბიდიომ“ ჩაატარა პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ტექნიკური მხარდაჭერისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების კვლევა. თუმცა, აღნიშნული კვლევა არ მოიცავს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგის ელემენტებს.

[73] პროგრამის აღნიშნული ნაწილი მოიცავს საკვები პროდუქტების წარმოებას, არაალკოჰოლური სასმელების წარმოებას, ქიმიურ და მასთან დაკავშირებულ მრეწველობის დარგებს და ა.შ. დეტალური ინფორმაცია დაფინანსებას დაქვემდებარებული ინდუსტრიების შესახებ მოცემულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილებაში N365 – „აწარმოე საქართველოში“ – სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ” .

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციაში არ არის დანერგილი კონტროლის სრულყოფილი მექანიზმები.

აქედან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი, რომ ორგანიზაციამ ვერ შეძლოს ბენეფიციარების მხრიდან ხელშეკრულებების პირობების დარღვევის აღმოჩენა და დარღვევაზე დროული რეაგირება. შედეგად, იზრდება პროგრამის ფარგლებში გაცემული თანხების არამიზნობრივად განკარგვის რისკი.

საკითხი 3.9
საპარტნიორო ფონდში განხორციელებული შენატანები

მთავრობის განკარგულებების საფუძველზე ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს ფულად და ქონებრივ შენატანებს სს – საპარტნიორო ფონდში[74] და ფონდისგან მართვის უფლებით გადმოცემულ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში.[75]

აღსანიშნავია, რომ სამინისტროში არ არსებობს შენატანების აღრიცხვის ერთიანი პოლიტიკა. კერძოდ, ფულადი შენატანები აღირიცხება როგორც განხორციელებული ინვესტიცია, ხოლო ქონებრივი შენატანების შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში (2016, 2017 და 2018 წლებში ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სს – საპარტნიორო ფონდში შეტანილი ქონების რაოდენობა შესაბამისად შეადგენს: 33-ს 48-ს და 48-ს[76]).

ეკონომიკის სამინისტრო ვერ ასაბუთებს ზემოაღნიშნული ტრანზაქციების აღრიცხვისათვის განსხვავებული მიდგომის გამოყენების მიზანშეწონილობას.

საკითხი 3.10
შრომის ანაზღაურება

სამინისტროს სისტემაში თანამშრომლებზე სულ 2018 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 29,954,207 ლარის ხარჯი, მათ შორის, დანამატი – 2,154,313 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 7.2%-ს შეადგენს.

ცხრილი N3. ინფორმაცია 2017 და 2018 წლის შრომის ანაზღაურების შესახებ (საკასო ხარჯი)

დასახელება	თანხა 2017	%	თანხა 2018	%
თანამდებობრივი სარგო	19,586,424	74.3%	25,972,141	86.7%
დანამატი	3,926,414	14.9%	2,154,313	7.2%
პრემია	2,855,319	10.8%	1,827,753	6.1%
სულ:	**26,368,157**	**100%**	**29,954,207**	**100%**

[74] სს – საპარტნიორო ფონდი შექმნილია საქართველოს კანონის – „სააქციო საზოგადოების – საპარტნიორო ფონდის შესახებ“, შესაბამისად, და მისი დამფუძნებელი პარტნიორი და კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელი არის სახელმწიფო.
[75] ხელშეკრულება სს – საპარტნიორო ფონდსა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის, 31/08/2012; ხელშეკრულების ცვლილება 20/03/2013.
[76] 2018 წელს შეტანილია სულ 263,281 კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას; ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა	ხელმოწერა
გიორგი ხითარიშვილი წამყვანი აუდიტორი	
გიორგი ბერუჩაშვილი წამყვანი აუდიტორი	
ელენე ელიაზარაშვილი უფროსი აუდიტორი	
შმაგი ჯოჯიშვილი უფროსი აუდიტორი	

2019

გიორგი ხადიშვილი
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

მალხაზ კენტელაძე
აუდიტორ-ასისტენტი

ლაშა ლეგანიძე
აუდიტორ-სტაჟიორი

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	31/12/2017	31/12/2018
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	42,904,912	67,543,173
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	9,301,977	12,573,795
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10,896,955	11,147,203
მათ შორის:	*4,722,634*	*3,482,554*
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით		
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	*1,244,761*	*1,333,471*
სხვა მატერიალური მარაგები	1,856,574	1,820,842
სულ მოკლევადიანი აქტივები	**64,960,418**	**93,085,013**
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	710,233,947	765,685,960
მათ შორის:		
აქციები და სხვა კაპიტალი	*708,369,502*	*761,869,742*
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2,899,328	3,121,809
ძირითადი აქტივები	99,623,984	104,437,265
ფასეულობები	15,167	15,167
არაწარმოებული აქტივები	10,626,313	10,702,465
საინვესტიციო ქონება	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	**823,398,739**	**883,962,666**
ბალანსი	**888,359,157**	**977,047,679**
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	5,974,716	4,126,007
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	8,179,556	7,453,730
მათ შორის:		
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	2,412,287	1,728,569
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	**14,154,272**	**11,579,737**
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	2,996,246	2,988,678
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**2,996,246**	**2,988,678**
სულ ვალდებულებები	**17,150,518**	**14,568,415**
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	826,074,523	881,454,118
გაუნაწილებელი მოგება	45,134,116	81,025,146
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	**871,208,639**	**962,479,264**
ბალანსი	**888,359157**	**977,047,679**

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	სულ	2017 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	**226,442,376**	**-**	**226,442,376**	**689,428,258**
შემოსავლები	**3,895,222**	**84,595,726**	**88,490,948**	**74,606,359**
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	3,667,569	16,405,428	20,072,997	23,296,062
სხვა შემოსავლები	**227,653**	**68,190,298**	**68,417,951**	**51,310,297**
შემოსავლები საკუთრებიდან	-	3,316,757	3,316,757	944,822
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	70,671	52,784,346	52,855,017	36,812,561
სანქციები, ჯარიმები, საურავები	2,714	741	3,455	142,405
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	154,268	11,155,277	11,309,545	11,055,511
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	933,177	933,177	2,354,998
სულ:	**230,337,598**	**84,595,726**	**314,933,324**	**764,034,617**
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	13,229,688	16,720,093	29,949,781	29,001,967
საქონელი და მომსახურება	55,142,946	14,109,219	69,252,165	72,545,448
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	4,026,371	1,811,845	5,838,216	6,232,056
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	59,729,668	519,600	60,249,268	58,961,506
გრანტები	4,197,594	6,990,799	11,188,393	124,173,152
სოციალური უზრუნველყოფა	461,944	246,879	708,823	459,937
სხვა ხარჯები	3,305,960	7,241,657	10,547,617	22,210,451
სულ:	**140,094,171**	**47,640,092**	**187,734,263**	**313,584,517**
ფინანსური შედეგი	**90,243,427**	**36,955,634**	**127,199,061**	**45,0450,100**

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	**55,379,590**	**35,891,028**	**-**	**91,270,618**
კორექტირებები:	**656,316**	**(5,087,466)**	**34,142,191**	**29,711,041**
ცვეთა (+)	4,026,372	1,811,843	-	5,838,215
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(2,935,447)	(32,662)	34142191	31,174,082
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(99,559)	135,294	-	35,735
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(167,726)	(54,752)	-	(222,478)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(159,871)	(5,131,033)	-	(5,290,904)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(7,453)	(1,816,156)	-	(1,823,609)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**56,035,906**	**30,803,562**	**34,142,191**	**120,981,659**
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	**-**	**-**	**-**	**-**
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	**-**	**-**	**-**	**-**
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	**(2,473,002)**	**(4,379,258)**	**-**	**(6,852,260)**
ძირითადი აქტივები	(2,472,947)	(4,378,808)	-	(6,851,755)
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	(55)	(450)	-	(505)
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	**(2,473,002)**	**(4,379,258)**	**-**	**(6,852,260)**
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(53,500,240)	-	(34,142,191)	(87,642,431)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(645,392)	(1,203,317)	-	(1,848,709)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(54,145,632)	(1,203,317)	(34,142,191)	(89,491,140)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	(582,728)	25,220,987	-	24,638,259
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	4,757,654	38,147,255	-	42,904,909
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	4,174,925	63,368,248	-	67,543,173
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
საწყისი ნაშთი	**825,740,468**	**45,470,059**	**871,210,527**
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ი-ს შეცდომები	334,054	(335,943)	(1,889)
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	826,074,522	45,134,116	871,208,638
არასაოპერაციო შემოსავლები	1,170,124	664,915	1,835,039
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	66,587	626,402	692,989
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,103,537	38,513	1,142,050
არასაოპერაციო ხარჯები	35,904,097	181,235	36,085,332
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	120,806	167,170	287,976
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	35,783,291	14,065	35,797,356
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	**129,862**	**1,548,284**	**1,678,146**
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	129,862	3,563	133,425
მოგების გადასახადი	-	1,544,721	1,544,721
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	**90,243,427**	**36,955,633**	**127,199,060**
ნაშთი წლის ბოლოს	**881,454,114**	**81,025,145**	**962,479,259**

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტებულსა და დამტკიცებულ გეგმას შორის	ფაქტობრივი (საკასო ხარჯი)	გადახრა % საკასო (ფაქტობრივ) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის	დარიცხული	გადახრა დარიცხულ და საკასო(ფაქტობრივ) ხარჯს შორის
ხარჯები	**146,465,000**	**138,599,843**	**94.63 %**	**136,326,942**	**98.36 %**	**140,094,171**	**3,767,229**
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	15,715,000	13,286,993	84.55 %	13,231,243	99.58 %	13,229,688	(1,555)
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,085,000	2,964,807	72.58 %	2,473,002	83.41 %	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	81,500,000	89,600,240	109.94 %	87,642,431	97.81 %	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-	-	-

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38